საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №85
2020 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

„წყალმომარაგების ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 17 აგვისტოს №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 168-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„წყალმომარაგების ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 17 აგვისტოს №17 დადგენილებაში (სსმ III, 2010 წლის 17 აგვისტო, №100, მუხ. 1508, სარეგისტრაციო კოდი: 300320000.16.009.015003) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2) შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მომხმარებლებისათვის, მომხმარებელთა კატეგორიის მიხედვით, განისაზღვროს წყალმომარაგების შემდეგი ზღვრული ტარიფები (ზედა ზღვარი):

ა) გამრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი – 0.424 ლარი/$მ^3$, მათ შორის:

ა.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი – 0.331 ლარი/$მ^3$;

ა.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი – 0.093 ლარი/$მ^3$;

ბ) გაუმრიცხველიანებელი საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი – 3.829 ლარი/სულზე/თვეში, მათ შორის:

ბ.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი – 2.990 ლარი/სულზე/თვეში;

ბ.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი – 0.839 ლარი/სულზე/თვეში;

გ) არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი – 5.511 ლარი/$მ^3$, მათ შორის:

გ.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი – 4.305 ლარი/$მ^3$;

გ.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი – 1.206 ლარი/$მ^3$.“.

2. პირველი მუხლის მე-7 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2024 წლის 1 იანვრამდე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	დავით ნარმანია
კომისიის წევრი	გიორგი ფანგანი
კომისიის წევრი	გოჩა შონია
კომისიის წევრი	გიორგი ფრუიძე